ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბერის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელებში შეტანილი იქნეს ცვლილება და გაიზარდოს იგი: 8 817,4 ათასი ლარით, მ.შ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით 4845,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 აპრილის N550 განკარგულებით ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საფუძველზე - 500,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს ,,გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება" (ქვეპროგრამა 02 01 02) ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზის (თ. ჭაღალიძის ეზოდან ასფალტის შეერთება) სავალი ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის N746 განკარგულებით ,,საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ" საფუძველზე - 500,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს ,,გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება" (ქვეპროგრამა 02 01 02) ხარჯებისათვის.

გოეთეს ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ,,შემოქმედებითი კომპასი საქართველო" მოპოვებული გრანტით 15,4 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა

მიიმართოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული მუნიციპალური და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღნუსხვის, პასპორტიზაციის, ფოტო მასალის შეგროვების, Google Maps რუქაზე და შესაბამის საინფორმაციო პლატფორმაზე განთავსების ხარჯებისათვის (ქვეპროგრამა 01 01 02);

ევროკავშირის გრანტი ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის - 1 047 3, ათასი ლარით (361 050,87 ევრო) და მიიმართოს (პროგრამული კოდი 02 02 04) ,,ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის" ხარჯებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საფუძველზე - 219,7 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა, საზოგადოების ინფორმირება (პროგრამული კოდი 01 01 04) ხარჯებისათვის.

გაიზრდება ადგილობრივი შემოსავლები კერძოდ : არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 1690,0 ათასი ლარით და მიიმართოს შემდეგი დანიშნულებით:

ა(ა)იპ ,,კულტურის ცენტრი" - ხარჯებისათვის 600,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01).

დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01) ხარჯებისათვის - 600,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის (პროგრამული კოდი 05 02 10) ხარჯებისათვის 35,0 ათასი ლარი.

სტიქიური მოვლენების და მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების (პროგრამული კოდი 06 02 03) ხარჯებისათვის 100,0 ათასი ლარი.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 02 05) ხარჯებისათვის 50,0 ათასი ლარი;

სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 05) ხარჯებისათვის 70,0 ათასი ლარი.

გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 02 02) ხარჯებისათვის 25,0 ათასი ლარი;

ლელო რაგბის კლუბი ,,ჯანი"-ს სუბსიდირებისათვის - 60,0 ათასი ლარი;

გაიზრდება სარეზერვო ფონდი 150,0 ათასი ლარით.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 34 759,8 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე